

შპს „ჯეი 5“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა	6
2. მომზადების საფუძვლები	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	18
5. შემოსავალი	19
6. რეალიზაციის თვითღირებულება	20
7. მიწოდების ხარჯები	20
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	20
9. უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი წმინდა (ზარალი)/მოგება	20
10. მოგების გადასახადი	21
11. საინვესტიციო ქონება	22
12. ძირითადი საშუალებები	23
13. ფული და ფულის ეკვივალენტები	24
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24
15. გაცემული სესხები	24
16. გასაყიდად გამიზნული აქტივები	25
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25
18. საწესდებო კაპიტალი	25
19. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები	25
20. ფინანსური რისკის მართვა	26
21. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	30
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	31

შპს „ჯეი 5“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	5	435,676	7,309,838
რეალიზაციის თვითღირებულება	6	(340,647)	(3,082,042)
საერთო მოგება		95,029	4,227,796
ადმინისტრაციული ხარჯი	8	(106,396)	(138,941)
მიწოდების ხარჯი	7	(12,408)	(143,233)
ფინანსური შემოსავალი		151,838	76,666
ფინანსური ხარჯი		-	(14,588)
უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი წმინდა მოგება	9	648,570	95,616
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		-	5,093
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(31,472)	(70,165)
მოგება დაბეგვრამდე		745,161	4,038,244
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება		745,161	4,038,244
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სხვა სრული შემოსავალი		745,161	4,038,244

ხელმოწერილია და დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს:

დავით საგანელიძე
გენერალური დირექტორი

ელზა ეგიაზაროვა
მთავარი ბუღალტერი

შპს „ჯეი 5“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	5	435,676	7,309,838
რეალიზაციის თვითღირებულება	6	(340,647)	(3,082,042)
საერთო მოგება		95,029	4,227,796
ადმინისტრაციული ხარჯი	8	(106,396)	(138,941)
მიწოდების ხარჯი	7	(12,408)	(143,233)
ფინანსური შემოსავალი		151,838	76,666
ფინანსური ხარჯი		-	(14,588)
უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი წმინდა მოგება	9	648,570	95,616
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		-	5,093
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(31,472)	(70,165)
მოგება დაბეგვრამდე		745,161	4,038,244
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება		745,161	4,038,244
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სხვა სრული შემოსავალი		745,161	4,038,244

ხელმოწერილია და დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს:

დავით საგანელიძე
გენერალური დირექტორი

ელზა ეგიაზაროვა
მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 6-31 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ჯეი 5“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	12	320,792	280,916	300,969
საინვესტიციო ქონება	11	469,092	398,308	152,251
სულ გრძელვადიანი აქტივები		789,884	679,224	453,220
მიმდინარე აქტივები				
გადახდილი ავანსი		7,764	549,617	42,373
გასაყიდად გამიზნული აქტივი	16	8,612,045	3,439,235	4,026,292
სხა აქტივები		-	-	27,094
წმინდა საგადასახადო აქტივი		40,345	41,127	-
გაცემული სესხები	15	-	-	272,685
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	40,361	3,102	2,525
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	22,138,627	11,054,904	3,006,103
სულ მიმდინარე აქტივები		30,839,142	15,087,985	7,377,072
სულ აქტივები		31,629,026	15,767,209	7,830,292
კაპიტალი და ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიღებული ავანსები		28,318	96,438	1,727,661
მოკლევადიანი სესხები		2,530	2,530	-
წმინდა საგადასახადო ვალდებულება		-	-	6,011
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	-	-	911,144
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		30,848	98,968	2,644,816
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	18	22,072,475	6,887,699	-
გაუნაწილებელი მოგება		9,525,703	8,780,542	5,185,476
სულ კაპიტალი		31,598,178	15,668,241	5,185,476
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		31,629,026	15,767,209	7,830,292

ხელმოწერილია და დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს:

დავით საგანელიძე
გენერალური დირექტორი

ელზა ეგიაზაროვა
მთავარი ბუღალტერი

შპს „ჯეი 5“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	12	320,792	280,916	300,969
საინვესტიციო ქონება	11	469,092	398,308	152,251
სულ გრძელვადიანი აქტივები		789,884	679,224	453,220
მიმდინარე აქტივები				
გადახდილი ავანსი		7,764	549,617	42,373
გასაყიდად გამოზნული აქტივი	16	8,612,045	3,439,235	4,026,292
სხვა აქტივები		-	-	27,094
წმინდა საგადასახადო აქტივი		40,345	41,127	-
გაცემული სესხები	15	-	-	272,685
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	40,361	3,102	2,525
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	22,138,627	11,054,904	3,006,103
სულ მიმდინარე აქტივები		30,839,142	15,087,985	7,377,072
სულ აქტივები		31,629,026	15,767,209	7,830,292
კაპიტალი და ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიღებული ავანსები		28,318	96,438	1,727,661
მოკლევადიანი სესხები		2,530	2,530	-
წმინდა საგადასახადო ვალდებულება		-	-	6,011
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	-	-	911,144
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		30,848	98,968	2,644,816
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	18	22,072,475	6,887,699	-
გაუნაწილებელი მოგება		9,525,703	8,780,542	5,185,476
სულ კაპიტალი		31,598,178	15,668,241	5,185,476
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		31,629,026	15,767,209	7,830,292

ხელმოწერილია და დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს:

დავით საგანელიძე
გენერალური დირექტორი

ელზა ეგიაზაროვა
მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 6-31 გვერდებზე წარმოდგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ჯეი 5“


კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი, 2018	-	5,185,476	5,185,476
სულ წლის სრული შემოსავალი	-	4,038,244	4,038,244
ცვლილება საკუთარ კაპიტალში	6,887,699	-	6,887,699
გაცემული დივიდენდი	-	(443,178)	(443,178)
31 დეკემბერი, 2018	6,887,699	8,780,542	15,668,241
სულ წლის სრული შემოსავალი	-	745,161	745,161
ცვლილება საკუთარ კაპიტალში	15,184,776	-	15,184,776
31 დეკემბერი, 2019	22,072,475	9,525,703	31,598,178

ხელმოწერილია და დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს:


 დავით საგანელიძე
 გენერალური დირექტორი


 ელზა ეგიაზაროვა
 მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 6-31 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ჯეი 5“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი, 2018	-	5,185,476	5,185,476
სულ წლის სრული შემოსავალი	-	4,038,244	4,038,244
ცვლილება საკუთარ კაპიტალში	6,887,699	-	6,887,699
გაცემული დივიდენდი	-	(443,178)	(443,178)
31 დეკემბერი, 2018	6,887,699	8,780,542	15,668,241
სულ წლის სრული შემოსავალი	-	745,161	745,161
ცვლილება საკუთარ კაპიტალში	15,184,776	-	15,184,776
31 დეკემბერი, 2019	22,072,475	9,525,703	31,598,178

ხელმოწერილია და დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს:

 დავით საგანელიძე
 გენერალური დირექტორი

 ელზა ეგიაზაროვა
 მთავარი ბუღალტერი

შპს „ჯეი 5“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე:		745,161	4,038,244
ცვეთა და ამორტიზაცია	11,12	45,285	31,927
საპროცენტო ხარჯი		-	14,588
საპროცენტო შემოსავალი		(151,838)	(76,666)
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	9	(648,570)	(95,616)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(9,962)	3,912,477
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე			
დებიტორული დავალიანების ზრდა/შემცირება		(23,899)	2,488
მარაგების ზრდა/შემცირება		(5,172,810)	587,057
მიღებული ავანსების ზრდა/შემცირება		(68,120)	(1,631,223)
გადახდილი ავანსების ზრდა/შემცირება		541,853	(499,480)
სხვა აქტივების ზრდა/შემცირება		-	27,094
საგადასახადო აქტივების ზრდა/შემცირება		782	(41,127)
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/შემცირება		-	(6,011)
კრედიტორული დავალიანების ზრდა/შემცირება		21,500	(849,791)
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული ფულადი სახსრები		(4,710,656)	1,501,484
პროცენტამდე და გადასახადებამდე			
მიღებული პროცენტი		151,838	76,666
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(4,558,818)	1,578,150
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
გაცემული სესხის მიღება		-	250,000
ძირითადი საშუალებების შეძენა		(155,945)	(257,932)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(155,945)	(7,932)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის შევსება	18	15,184,776	6,887,699
დივიდენდის გადახდა	18	-	(443,178)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		15,184,776	6,444,521
ფულის და ფულის ექვივალენტების წმინდა შემცირება		10,470,013	8,014,740
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის დასაწყისში	13	11,054,904	3,006,103
კურსთაშორისი სხვაობის ეფექტი ფულზე და ფულის ექვივალენტებზე		613,710	34,062
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის ბოლოს		22,138,627	11,054,904

ხელმოწერილია და დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს:

დავით საგანელიძე
გენერალური დირექტორი

ელზა ეგიაზაროვა
მთავარი ბუღალტერი

შპს „ჯეი 5“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე:		745,161	4,038,244
ცვეთა და ამორტიზაცია	11,12	45,285	31,927
საპროცენტო ხარჯი		-	14,588
საპროცენტო შემოსავალი		(151,838)	(76,666)
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	9	(648,570)	(95,616)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(9,962)	3,912,477
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე			
დებიტორული დავალიანების ზრდა/შემცირება		(23,899)	2,488
მარაგების ზრდა/შემცირება		(5,172,810)	587,057
მიღებული ავანსების ზრდა/შემცირება		(68,120)	(1,631,223)
გადახდილი ავანსების ზრდა/შემცირება		541,853	(499,480)
სხვა აქტივების ზრდა/შემცირება		-	27,094
საგადასახადო აქტივების ზრდა/შემცირება		782	(41,127)
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/შემცირება		-	(6,011)
კრედიტორული დავალიანების ზრდა/შემცირება		21,500	(849,791)
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული ფულადი სახსრები		(4,710,656)	1,501,484
პროცენტამდე და გადასახადებამდე			
მიღებული პროცენტი		151,838	76,666
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(4,558,818)	1,578,150
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
გაცემული სესხის მიღება		-	250,000
ძირითადი საშუალებების შეძენა		(155,945)	(257,932)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(155,945)	(7,932)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის შევსება	18	15,184,776	6,887,699
დივიდენდის გადახდა	18	-	(443,178)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		15,184,776	6,444,521
ფულის და ფულის ექვივალენტების წმინდა შემცირება		10,470,013	8,014,740
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის დასაწყისში	13	11,054,904	3,006,103
კურსთაშორისი სხვაობის ეფექტი ფულზე და ფულის ექვივალენტებზე		613,710	34,062
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის ბოლოს		22,138,627	11,054,904

ხელმოწერილია და დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს:

დავით საგანელიძე
გენერალური დირექტორი

ელზა ეგიაზროვა
მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 6-31 გვერდებზე წარმოდგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ჯეი 5“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დამთავრებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ჯეი 5“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2015 წლის 12 იანვარს დაარსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია: ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N 3გ, თბილისი, საქართველო. კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია საკუთარი ან იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავება და მართვის სხვა საქმიანობები, სამშენებლო პროექტების შემუშავება.

2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები იყვნენ შპს „საბა პლიუსი“ 50%-იანი წილით და შპს „G & G Invest“ 50%-იანი წილით. კომპანიის მფლობელი შპს „საბა პლიუსის“ საბოლოო მფლობელი არის არარეზიდენტი შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა First Telecom Trading (ესტონეთი).

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის დირექტორია დავით საგანელიძე.

2. მომზადების საფუძვლები

ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

წინამდებარე ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელშიც მოხდა ფასს 16 „იჯარის“ გამოყენება. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება აღწერილია შენიშვნა 3-ში „სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების“ ნაწილში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის მიხედვით და ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

COVID 19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში შექმნილი ვითარების გამო სამშენებლო ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. COVID 19 ვირუსის გასაკონტროლებლად გადადგმული ნაბიჯებს უმნიშვნელო გავლენა ჰქონდა კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაზე. ხელმძღვანელობამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება (იხილეთ შენიშვნა 24) და შედეგად, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 აშშ დოლარი/ქართული ლარი	2.8677	2.6766
1 ევრო/ქართული ლარი	3.2095	3.0701

საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2019	2018
1 აშშ დოლარი/ქართული ლარი	2.8192	2.5345
1 ევრო/ქართული ლარი	3.1553	2.9913

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები

კომპანიამ გამოიყენა ახალი სააღრიცხვო დებულებები, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან:

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 ანაცვლეს ბასს 17-ს „იჯარა“ და შემდეგ სამ ინტერპრეტაციას: ფასიკ 4 „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ 15 „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27 „გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“.

ფასს 16-ის მიხედვით მოიჯარე აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას იმ იჯარებზე, რომლებიც მანამდე კლასიფიცირებული იყო ჩვეულებრივ იჯარად. არსებობს აღიარების გამონაკლისები მოკლევადიანი იჯარებისთვის (იჯარა, რომლის ვადა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის შეადგენს არაუმეტეს 12 თვეს) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის.

ახალი სტანდარტი დაინერგა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით;

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კომპანია ფასს 16-ის გამოყენების კუმულაციური დაბალანსების კორექტირებას საწყის ბალანსზე აღიარებს წინა პერიოდის შესადარისი მონაცემების გადანაწილების გარეშე.

სტანდარტის დანერგვის თარიღისთვის გაფორმებული ხელშეკრულებებისთვის, კომპანიამ არჩია გამოყენებინა ბასს 17-ით და ფასიკ 4-ით მოცემული იჯარის განმარტება და არ მიუსადაგა ფასს 16 იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც არ იყო იდენტიფიცირებული, როგორც იჯარა, ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის მიხედვით.

კომპანია არ ითვალისწინებს თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოყენების უფლების შეფასებისას ფასს 16-ის თავდაპირველად გამოყენების თარიღისთვის, კერძოდ, 2019 წლის 1 იანვარს. კომპანია იჯარებზე ასევე აღიარებს გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივს საიჯარო ვალდებულების ოდენობით, რომელიც კორექტირდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იჯარასთან დაკავშირებული ყველა წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადასახადების თანხით.

სტანდარტის თავდაპირველად გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებაზე განხილვის ნაცვლად მოიჯარემ ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით გააანალიზა იყო თუ არა იჯარა ზარალიანი სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე. კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

იმ იჯარისთვის, რომელიც წინათ კლასიფიცირებული იყო როგორც ფინანსური იჯარა, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება იქნება საიჯარო აქტივისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება, რომელიც მათ ჰქონდა უშუალოდ ბასს 17-ის გამოყენებით შეფასებამდე.

ფასს 16-ზე გადასვლისას, მოიჯარის ზღვრული საშუალო შეწონილი სასესხო განაკვეთი შეადგენს 8%-ს.

კომპანიამ გამოიყენა წარსული გამოცდილება იჯარის ვადის განსაზღვრისას, იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის მოლოდინების შეფასებისას.

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. კომპანია აღიარებს შემოსავალს შესრულებული სახელშეკრულებო ვალდებულებების პროპორციულად. კომპანია მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს აღიარებს ფასს-15-ის მიხედვით, თუ აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს:

- ▶ ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა დაამტკიცეს ხელშეკრულება (წერილობით, სიტყვიერად ან სხვა მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად) და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობების ვალდებულება აიღეს;
- ▶ კომპანიას შეუძლია გადასცეს საქონელთან და მომსახურებასთან დაკავშირებული თითოეული მხარის უფლებების იდენტიფიკაცია;
- ▶ კომპანიას შეუძლია გადასაცემი საქონლის ან მომსახურებისთვის გადახდის პირობების იდენტიფიკაცია;

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- ▶ ხელშეკრულებას კომერციული შინაარსი აქვს (ე.ი. მოსალოდნელია, რომ მოცემული ხელშეკრულების შედეგად შეიცვლება კომპანიის სამომავლო ფულადი ნაკადების წარმოქმნის ვადები, სიდიდე და მასთან დაკავშირებული რისკები) და ;
- ▶ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ანაზღაურებას, რომლის მიღების უფლებასაც მოიპოვებს მომხმარებლისათვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

შემოსავალი აღიარდება როდესაც ან როგორც კი შესრულდება კონტრაქტით განპირობებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლის კონტროლის ქვეშ გადაცემა. კონტროლის გადაცემა ხდება დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ან დროის გარკვეულ მომენტში.

შემოსავალი სამშენებლო მომსახურებიდან

სამშენებლო ხელშეკრულებები მოიცავს მხოლოდ ერთ შესასრულებელ ვალდებულებას. სამშენებლო სამუშაოებში შესასრულებელი ვალდებულება მოიცავს სამშენებლო ხელშეკრულებას ან გასაწევ მომსახურებას. აღნიშნული სამშენებლო ხელშეკრულებებზე შესასრულებელი ვალდებულებების შესრულება ხორციელდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში. სახელშეკრულებო ვალდებულებებისთვის კომპანია პერიოდულად აღიარებს შემოსავალს შესრულებული სამუშაოების შეფასების საფუძველზე მოცემული საკონტრაქტო ვალდებულებების სრულ შესრულებამდე, რომლის ამოცანაა მომხმარებლებისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების კონტროლის გადაცემის ვალდებულების შესრულების პროგრესის, ანუ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, ასახვა. მენეჯმენტს დროში სამუშაოების მიმდინარეობის შესაფასებლად არჩეული აქვს გამოყენებული რესურსების მეთოდი, რომლის მიხედვითაც შემოსავალი აღიარდება კომპანიის მიერ საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულებაზე დახარჯული რესურსების საფუძველზე. შესასრულებელი ვალდებულების შესრულების შეფასება ხდება დახარჯული რესურსების ფარდობით ვალდებულების შესასრულებლად საჭირო მთლიანად რესურსების მოსალოდნელ ხარჯვასთან. ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ხელშეკრულებასთან ან არ მონაწილეობენ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებაში, არ გამომოიყენება სამუშაოების მიმდინარეობის პროგრესის შეფასებაში.

გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანია შემოსავლებს იღებს ფიქსირებული ფასით განსაზღვრული ხელშეკრულებებიდან, რომელიც დამოკიდებულია შესრულებულ ვალდებულებებზე კონკრეტულ თარიღში აქედან გამომდინარე შემოსავალი მიღებული თითოეული ხელშეკრულებიდან განისაზღვრება ფიქსირებული ფასებით.

კომპანიას არ აქვს ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს ცვალებად ანაზღაურებას.

სამშენებლო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ავანსები არ განიხილება როგორც დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტი, იქიდან გამომდინარე, რომ ხელშეკრულებების მიხედვით ავანსები იქვითება დასრულების სტადიის დროს, რომელიც ერთ წელზე ნაკლებია.

სამშენებლო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საგარანტიო თანხები არ განიხილება როგორც დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტი, რადგან ფასს 15-ის 62 (გ) პუნქტის კრიტერიუმი კმაყოფილდება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დაპირებულ ანაზღაურებასა და საქონლის ან მომსახურების მიმდინარე გასაყიდ ფასს შორის სხვაობა წარმოიქმნება მომხმარებლის ან საწარმოს დაფინანსების გარდა სხვა მიზეზების გამო და ზემოაღნიშნულ თანხებს შორის სხვაობა პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია განსხვავების მიზეზთან. მაგალითად, გადახდის პირობები შეიძლება კომპანიას ან მომხმარებელს იცავდეს მეორე მხარის უუნარობიდან, სათანადოდ შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზოგიერთი ან ყველა ვალდებულება. კომპანიას არ აქვს არაფულადი ანაზღაურების შემთხვევები.

გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულაზე

კომპანია ანაწილებს გარიგების ფასს თითოეული შესასრულებელი ვალდებულების მიხედვით,

ფიქსირებული ფასების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ყველა მომსახურებასთან დაკავშირებულ საზღაურს.

ხელშეკრულების პირობების შესრულების დანახარჯები

დანახარჯები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ხელშეკრულებასთან მოიცავს გაყიდვებისა და იურიდიული დეპარტამენტების თანამშრომლების ფიქსირებულ ხელფასებს. აღნიშნული დანახარჯები არ არის აღიარებული როგორც აქტივი და აღიარებულია როგორც ხარჯი, რომელიც წარმოადგენს ისეთ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელსაც საწარმო მაინც გასწევდა, იმის მიუხედავად, გაფორმდებოდა თუ არა ხელშეკრულება.

ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული დანახარჯები არ აღიარდება ცალკე აქტივად, რადგან ასეთი დანახარჯები არის ბასს 16 ძირითადი საშუალებები-ს მოქმედების სფეროში.

სახელშეკრულებო მუხლები

სახელშეკრულებო აქტივი

კომპანია ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებშიც ასრულებს ვალდებულებას საქონლის ან მომსახურებისთვის მანამდე გადაცემით, სანამ მომხმარებელი გადაუხდის ანაზღაურებას, ან სანამ ამ საქონლის ან მომსახურების ანაზღაურების გადახდის ვადა დადგება, წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც სახელშეკრულებო აქტივს. იგი არის მომხმარებლისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ მოპოვებული უფლება ანაზღაურებაზე. კომპანია სახელშეკრულებო აქტივის გაუფასურებას ახდენს ფასს-9 ის შესაბამისად.

სახელშეკრულებო ვალდებულება

კომპანია ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებშიც მომხმარებელი ანაზღაურებას იხდის, ან კომპანიას უპირობო უფლება გააჩნია ანაზღაურების თანხაზე მანამ, სანამ კომპანია საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებელს, წარადგენს როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებას. იგი არის ვალდებულება, მომხმარებელს გადასცეს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც კომპანიამ მომხმარებლისაგან მიიღო ანაზღაურება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოადგენს კომპანიის უპირობო უფლებას ანაზღაურებაზე. ანაზღაურებაზე უფლება უპირობოა, როდესაც მხოლოდ გარკვეული დროის გასვლაა საჭირო ანაზღაურების გადახდის ვადის დადგომისათვის. კომპანია მოთხოვნების გაუფასურებას ახდენს ფასს-9 ის შესაბამისად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ▶ ხელფასები;
- ▶ არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კოსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივი ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს (ECL). ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის ECL არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრული შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება ზარალში.

კომპანია დებიტორული დავალიანებებისა და გაცემული სესხების გაუფასურების გაანგარიშებისას იყენებს გამარტივებულ მიდგომას ფასს 9-ის შესაბამისად. დებიტორული დავალიანებები, რომელიც არ გაუფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია მათ გაუფასურებას განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია დავალიანების ამოღების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საეჭვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

აქტივების აღიარება/აღიარების შეწყვეტა სრულად მოხდება თუ აქტივები აღიარდება მხოლოდ კომპანიის შენარჩუნებული მოცულობის მიხედვით დამოკიდებულია თითოეული ფაქტის დეტალურ ანალიზზე.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

როგორც წესი, ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება კრედიტორული დავალიანება და მიღებული სესხები. ჩვეულებრივ, არ ხდება იმ ვალდებულებების გადასახება, რომლებიც კლასიფიცირებულია ამ კატეგორიაში, ვინაიდან ვალდებულების სიზუსტე მაღალია, ხოლო დაფარვის ვადა მოკლევადიანი.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი. გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსური აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

წინასწარ გადახდები

წინასწარ გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარ გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარ გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარ გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ზარალი. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან, კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

კომპანია არ ფლობს მიწას. შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის:

სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)

საოფისე აღჭურვილობა

2-5

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, კომპანიამ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად კომპანიამ უნდა შეაფასოს:

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოემომა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარე უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარე მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

კომპანია როგორც მიიჯარე

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ფასს 16-ის მიღების შემდეგ არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. როგორც მიიჯარე, კომპანია აკლასიფიცირებს იჯარას როგორც საოპერაციოს ან ფინანსურს. იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, თუ მას გადააქვს ძირითადი რისკები და ანაზღაურება ძირითადი აქტივების საკუთრებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც ოპერაციული იჯარა.

მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელიშევა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არიქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

წარმოდგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში. გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. ცვლილება კომპანიის წესდებაში (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ) მოხდება მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება კაპიტალში იმ თანხით, რაც რეალურად შეტანილი იქნა კომპანიაში მფლობელის მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდების სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, გადახდის ფაქტიური თარიღისა ან პერიოდისგან დამოუკიდებლად. ცალკეულ შემთხვევებში, დაშვებულია გამოქვითვები მოგების გადასახადზე დარიცხვებიდან, რომლებიც აღირიცხება შესაბამის განაწილებაზე მოგების გადასახადზე ხარჯების შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის არ წარმოიქმნება რაიმე გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. გადახდის წყაროსთან დაკავშირებული გადასახადი, რომელიც ექვემდებარება გადახდას კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით, აღიარებულია კაპიტალში ცვლილებების ანგარიშში გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს გარკვეული ოპერაციების, რომლებიც განიხილება დივიდენდების ფარულ განაწილებად (მაგალითად, ოპერაციები არასაბაზრო ფასით, ხარჯები ან საქონლის და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან) მოგების გადასახადით დაბეგვრას. მსგავსი ოპერაციების დაბეგვრა ექვემდებარება აღრიცხვას საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გადასახადების ანალოგიურად და წარმოდგენილია „სხვა ხარჯების“ სახით „სხვა საოპერაციო ხარჯების“ შემადგენლობაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ამგვარად, მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება. მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახადი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში. გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებას, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა და პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისათვის.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი: კომპანია რეგულარულად ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასების გადახედვას. ახალი ფასს 9-ს მიხედვით, გაუფასურების მოდელი მოითხოვს გაუფასურების რეზერვს ყველა რისკზე ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნის მომენტიდან მისი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მისი საკრედიტო რისკის გაუარესების მიხედვით.

თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასს 9 მოითხოვს რეზერვს მომდევნო 12 თვის მანძილზე მოსალოდნელი დანაკარგებზე დაყრდნობით. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან/და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის „გაუფასურებული“, სტანდარტი მოითხოვს რეზერვის შექმნას მისი სასიცოცხლო ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიხედვით. იმის შეფასება, განიცადა თუ არა ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განსხვავდება პროდუქტის და რისკის სეგმენტის მიხედვით. კომპანია აღნიშნული საკრედიტო რისკის განსასაზღვრად იყენებს საკუთარ მსჯელობას. დეტალური ინფორმაცია კომპანიის გაუფასურების რეზერვებზე მოცემულია შენიშვნა 12-ში.

შპს „ჯეი 5“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

4. მნიშვნელოვანი საადრიცხო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა: კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული დაძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები: კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას რეალური ღირებულებით. კომპანია განიხილავს არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არა დაკავშირებულ მხარეებთან.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების გაუფასურება: სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, კომპანია იყენებს შეფასებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულების დასადგენად ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს.

მარაგების ვარიაციების ვადის გათვალისწინებით, კომპანია აფასებს დაძველებული და რთულად რეალიზებადი ერთეულების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას საანგარიშო პერიოდის ბოლოს და შემდგომ ნაწილობრივ ჩამოწერს მარაგების თვითღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ძირითადად ეფუძნება დაშვებას მომავალ მოთხოვნაზე დროის განსაზღვრულ პერიოდში.

იჯარის გაგრძელების უფლება: როდესაც საწარმოს აქვს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, საკმარისად სარწმუნო იქნება თუ არა ამ უფლების გამოყენება. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც გაწეული იქნება აქტივის შესაცვლელად, თუ ეს უფლება არ იქნება გამოყენებული, რაც მათ დაეხმარება საიჯარო პირობების განსაზღვრად. ხელმძღვანელობა თვლის რომ მათი შეფასება ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ადეკვატურია.

5. შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
შემოსავალი მიწის რეალიზაციიდან	207,972	49,534
შემოსავალი იჯარიდან	142,507	-
შემოსავალი ბინების რეალიზაციიდან	79,943	7,260,304
სხვა საოპერაციო შემოსავლები	5,254	-
სულ შემოსავალი	435,676	7,309,838

შპს „ჯეი 5“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

6. რეალიზაციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზაციის თვითღირებულება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის შეადგენს 340,647 და 3,082,042 ლარს და მოიცავს ქვეკონტრაქტორების მიერ გაწეულ მომსახურებასა და რეალიზებული ფართების თვითღირებულებას.

7. მიწოდების ხარჯები

კომპანიის მიწოდების ხარჯები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
რეკლამის ხარჯები	10,456	5,073
გაყიდვების მომსახურება	1,952	138,160
სულ მიწოდების ხარჯი	12,408	143,233

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
ცვეთა და ამორტიზაცია	45,285	31,927
სხვა საგადასახადო ხარჯი	13,135	11,929
საკონსულტაციო ხარჯები	21,997	18,368
ბანკის მომსახურება	8,978	2,942
კომუნიკაციის ხარჯები	4,808	7,177
შრომის ანაზღაურება	-	65,451
სხვა ხარჯები	12,193	1,147
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	106,396	138,941

9. უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი წმინდა (ზარალი)/მოგება

კომპანიის უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი წმინდა (ზარალი)/მოგება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი მოგება	654,488	132,314
უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი ზარალი	(5,918)	(36,698)
საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი	648,570	95,616

10. მოგების გადასახადი

კომპანიის მოგების გადასახადი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის ნული და ნული ათასი ლარის შესაბამისია.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არა-რეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით იმ ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

შპს „ჯეი 5“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

11. საინვესტიციო ქონება

კომპანიის საინვესტიციო ქონება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	კომერციული ფართი	სარდაფები	სულ
ისტორიული ღირებულება			
2018 წლის 1 იანვარი	45,768	108,660	154,428
შეძენა	191,635	66,296	257,931
გასვლა	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	237,403	174,956	412,359
შეძენა	94,260	-	94,260
გასვლა	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	331,663	174,956	506,619
დაგროვებული ცვეთა			
2018 წლის 1 იანვარი	(572)	(1,605)	(2,177)
ცვეთის დარიცხვა	(6,030)	(5,844)	(11,874)
2018 წლის 31 დეკემბერი	(6,602)	(7,449)	(14,051)
ცვეთის დარიცხვა	(14,754)	(8,722)	(23,476)
2019 წლის 31 დეკემბერი	(21,356)	(16,171)	(37,527)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2018 წლის 1 იანვარი	45,196	107,055	152,251
2018 წლის 31 დეკემბერი	230,801	167,507	398,308
2019 წლის 31 დეკემბერი	310,307	158,785	469,092

შპს „ჯეი 5“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

12. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ქვესადგური	ფიქსირებული აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება					
2018 წლის 1 იანვარი	1,795	15,264	-	290,373	307,432
შეძენა	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	1,795	15,264	-	290,373	307,432
შეძენა	-	-	61,685	-	61,685
გასვლა	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	1,795	15,264	61,685	290,373	369,117
დაგროვებული ცვეთა					
2018 წლის 1 იანვარი	(561)	(5,902)	-	-	(6,463)
ცვეთის დარიცხვა	(449)	(5,088)	-	(14,516)	(20,053)
2018 წლის 31 დეკემბერი	(1,010)	(10,990)	-	(14,516)	(26,516)
ცვეთის დარიცხვა	(449)	(4,274)	(2,570)	(14,516)	(21,809)
2019 წლის 31 დეკემბერი	(1,459)	(15,264)	(2,570)	(29,032)	(48,325)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2018 წლის 1 იანვარი	1,234	9,362	-	290,373	300,969
2018 წლის 31 დეკემბერი	785	4,274	-	275,857	280,916
2019 წლის 31 დეკემბერი	336	-	59,115	261,341	320,792

შპს „ჯეი 5“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	365,433	1,931,180	2,346,547
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	21,773,194	9,123,724	659,556
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	22,138,627	11,054,904	3,006,103

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	38,100	-	-
სხვა მოთხოვნები	2,261	3,102	2,525
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	40,361	3,102	2,525

15. გაცემული სესხები

კომპანიის გაცემული სესხები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის შეადგენს:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
გაცემული სესხი	-	-	250,000
მისაღები პროცენტები	-	-	22,685
სულ გაცემული სესხები	-	-	272,685

შპს „ჯეი 5“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

16. გასაყიდად გამიზნული აქტივები

კომპანიის გასაყიდად გამიზნული აქტივები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის შეადგენს:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
საცხოვრებელი ფართების ასაშენებლად განკუთვნილი მიწა	7,707,888	2,416,788	2,621,407
დაუმთავრებელი მშენებლობა	419,437	513,033	603,899
საწყობში არსებული მარაგები	387,302	379,132	4,547
გასაყიდად გამიზნული ავტოსადგომები	56,892	56,766	8,573
გასაყიდად გამიზნული სათავსოები	38,627	38,627	38,627
გასაყიდად გამიზნული საცხოვრებელი ფართები	372	-	-
გასაყიდად გამიზნული კომერციული ფართი	-	33,362	747,712
სხვა	1,527	1,527	1,527
სულ გასაყიდად გამიზნული აქტივები	8,612,045	3,439,235	4,026,292

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლი 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო ვალდებულებები	-	-	911,144
მიღებული ავანსები	28,318	96,438	1,727,661
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	28,318	96,438	2,638,805

18. საწესდებო კაპიტალი

2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს კომპანიის საწესდებო კაპიტალი შესაბამისად შეადგენს 6,887,699 და 15,184,776 ლარს, რომელიც 50-50%-ით ეკუთვნის შპს „საბა პლიუსი“-ს და შპს „G & G Invest“-ს. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, კომპანია გასცემს დივიდენდს წლიური მოგებიდან. 2018 წელს კომპანიამ გასცა 443,178 ლარი ფულადი სახით.

19. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა: საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

შპს „ჯეი 5“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

20. ფინანსური რისკის მართვა

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანიაში დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლევადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ კომპანიის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ.

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

საკრედიტო რისკი

ლიკვიდურობის რისკი

საბაზრო რისკი:

- სავალუტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც, თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
გაცემული სესხები		-	-	272,685
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		40,361	3,102	2,525
ფული და ფულის ეკვივალენტები		22,138,627	11,054,904	3,006,103
სულ ფინანსური აქტივები		22,178,988	11,058,006	3,281,313

შპს „ჯეი 5“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

20. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. საკრედიტო რისკის შემცირების მიზნით კომპანიას დაზღვეული აქვს ფინანსური აქტივები.

დაზღვევას ექვემდებარება 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მოთხოვნები, რომელთა მოცულობაც ინდივიდუალურად არ აღემატება 20,000 ლარს. იმ აქტივებისთვის, რომლებიც დაზღვეული ფინანსური აქტივების სიაში ვერ ხვდება და თანხის ამოღება პრობლემურია, გამოიყენება ფაქტორინგული მომსახურება.

დებიტორული დავალიანების საკრედიტო ხარისხის ანალიზი მოცემულია მე-10 შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებზე და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

კომპანიის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება როგორც მფლობელების კაპიტალით ასევე ბანკის სესხით.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2019 სულ
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	40,361	-	-	-	40,361
გაცემული სესხები	-	-	-	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	22,138,627	-	-	-	22,138,627
მთლიანი ფინანსური აქტივები	22,178,988	-	-	-	22,178,988
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	-	-	-	-	-
სესხები	2,530	-	-	-	2,530
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	2,530	-	-	-	2,530
ლიკვიდურობის დეფიციტი	22,176,458	-	-	-	
ჯამური ლიკვიდურობის დეფიციტი	22,176,458	-	-	-	

შპს „ჯეი 5“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

20. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2018 სულ
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,102	-	-	-	3,102
გაცემული სესხები	-	-	-	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	11,054,904	-	-	-	11,054,904
მთლიანი ფინანსური აქტივები	11,058,006	-	-	-	11,058,006
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები	2,530	-	-	-	2,530
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	2,530	-	-	-	2,530
ლიკვიდურობის დეფიციტი	11,055,476	-	-	-	
ჯამური ლიკვიდურობის დეფიციტი	11,055,476	-	-	-	

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2017 სულ
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,525	-	-	-	2,525
გაცემული სესხები	272,685	-	-	-	272,685
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,006,103	-	-	-	3,006,103
მთლიანი ფინანსური აქტივები	3,281,313	-	-	-	3,281,313
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	911,144	-	-	-	911,144
სესხები	-	-	-	-	-
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	911,144	-	-	-	911,144
ლიკვიდურობის დეფიციტი	2,370,169	-	-	-	
ჯამური ლიკვიდურობის დეფიციტი	2,370,169	-	-	-	

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

შპს „ჯეი 5“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

20. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა კომპანიაზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	სულ 2019
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	40,361	40,361
ფული და ფულის ეკვივალენტები	365,433	21,773,194	22,138,627
მთლიანი ფინანსური აქტივები	365,433	21,813,555	22,178,988
ღია საბალანსო პოზიცია	365,433	21,813,555	

სავალუტო რისკის ზეგავლენა კომპანიაზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	სულ 2018
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,102	-	3,102
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,931,180	9,123,724	11,054,904
მთლიანი ფინანსური აქტივები	1,934,282	9,123,724	11,058,006
ფინანსური ვალდებულებები			
სესხები	2,530	-	2,530
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	2,530	-	-
ღია საბალანსო პოზიცია	1,931,752	9,123,724	

სავალუტო რისკის ზეგავლენა კომპანიაზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ 2017
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,525	-	-	2,525
გაცემული სესხები	272,685	-	-	272,685
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,346,547	659,556	-	3,006,103
მთლიანი ფინანსური აქტივები	2,621,757	659,556	-	3,281,313
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	42,375	868,769	-	911,144
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	42,375	868,769	-	911,144
ღია საბალანსო პოზიცია	2,579,382	(209,213)	-	

შპს „ჯეი 5“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

20. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიბმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებს და აკორექტირებს მათ წლის ბოლოს უცხოური ვალუტის კურსის 20% -იანი ცვლილების პირობებში.

ფინანსური ინსტრუმენტების საფუძველზე 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგებაზე გავლენა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	აშშ დოლარის გავლენა	
	ლარი / აშშ დოლარი + 20%	ლარი / აშშ დოლარი - 20%
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის	2,181,356	(2,181,356)
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის	912,372	(912,372)
2018 წლის 1 იანვრის დასრულებული წლისთვის	(20,921)	20,921

ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, მაგალითად საპროცენტო განაკვეთი, უცვლელია.

21. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

(ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

(ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.

(გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

(დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

შპს „ჯეი 5“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

21. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

(ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.

(ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ქვემოთ ცხრილებში მოცემულია ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

ოპერაციები:

სრული შემოსავლების ანგარიშგება	დაკავშირებული მხარე	2019	2018
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	უამღლესი რანგის ხელმძღვანელობა	25,451	25,451

ნაშთები:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	დაკავშირებული მხარის ტიპი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	მშობელი კომპანია		291	291
გაცემული სესხები	მეკავშირე საწარმო	-	-	250,000
მისაღები პროცენტები	მეკავშირე საწარმო	-	-	22,685
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	მშობელი კომპანია	(76)	(76)	(16,327)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	მშობელი კომპანია	-	-	(861,669)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	მეკავშირე საწარმო	-	-	5,508
წინასწარ გადახდილი პროცენტები	მეკავშირე საწარმო	-	-	27,094
გადასახდელი პროცენტები	მეკავშირე საწარმო	(2,530)	(2,530)	-

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- 2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში, 2020 წლის 21 მარტს, გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა 2 თვის ვადით. შექმნილი ვითარების გამო, კომპანია ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. აღნიშნული მოვლენის შედეგად, სამშენებლო მასალების ფასი გაიზარდა, რაც ზრდის კომპანიის რეალიზაციის თვითღირებულებას. ხელმძღვანელობის შეფასებით, ზემოთ აღნიშნულ ნეგატიურ ფაქტორებს მნიშვნელოვნად არ უმოქმედია კომპანიის საქმიანობაზე და მიიჩნევა, რომ მომავალშიც არ შეუშლის ხელს კომპანიას საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ვინაიდან მას მას აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის, რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.